8

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N 87/10/380

ქ. თბილისი 19.06.2015 წელი

ერთის მხრივ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის გიორგი სოლომონიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი", (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირან მამუჭაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი, ობიექტი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1.1 ხელშეკრულების საგანია ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისში, თბილისის ზღვის შემოვლითი გზის (ღერძის ხაზი 300 და 400 მონაკვეთები) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის III პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად (2015 წლის 06 მაისის #913 საქართველოს მთავრობის განკარგულება).

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: ქ. თბილისში, თბილისის ზღვის შემოვლითი გზის (ღერძის ხაზი 300 და 400 მონაკვეთები) სარეაბილიტაციო სამუშაოები;

1.3 კლასიფიკატორის კოდი: 45233142 - გზის შეკეთების სამუშაოები.

1.4 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 2617298,25 (ორი მილიონ ექვსასჩვიდმეტი ათას ორასოთხმოცდათვრამეტი ლარი და 25 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.3. შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებების დეტალური აღწერა და მოცულობები თან ახლავს წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. სამუშაოს შესრულების პირობები, ვადა და ადგილი

3.1 სამუშაოების მიწოდების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 25 ივლისის ჩათვლით (მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები აწარმოოს 24 საათიანი სამუშაო გარფიკით).

3.2 მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს სამუშაოების წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკი, რომლის ფორმა, შესასრულებელი სამუშაოების თანმიმდევრობა და ვადები შეთანხმებული იქნება შემსყიდველთან.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

3.4 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, თბილისის ზღვის შემოვლითი გზა (ღერძის ხაზი 300 და 400 მონაკვეთები);

3.5 სამუშაოების შესრულებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების მოთხოვნები.

3.6 მიმწოდებელი ვალდებულია სამშენებლო ობიექტზე საკუთარი ძალებით და სახსრებით უზრუნველყოს ინჟინერ-გეოდეზისტი, რომელიც აწარმოებს შესაბამის ზედამხედველობას.

3.7 მიმწოდებელმა თითოეულ ობიექტზე თვალსაჩინო ადგილას უნდა განათავსოს მინიმუმ 2 ცალი საინფორმაციო დაფა (100 სმ/80 სმ) შემსყიდველის მიერ გადაცემული ესკიზის შესაბამისად;

3.8 სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, და ა. შ.

4. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

4.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წელი.

4.2 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედი და ხელშეკრულებით განსაზღვრული სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს;

4.3 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

4.4 სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული იქნება 5%. დაკავებული 5%-დან 2,5%-ის გადახდა განხორციელდება სამუშაოს სრულად დასრულებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო დარჩენილი 2,5%-ის გადახდა მოხდება გარანტიების აღმოფხვრის და საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ.

4.5 მიმწოდებლის მხრიდან, საგარანტიო პერიოდის სრული ვადის ამოწურვამდე დარჩენილი 2,5 %-ზე უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, შესაძლებლობა განხორციელდეს თანხის გადახდა.

87/10/380
სარეგისტრაციო № 389
რეგისტრაციის თარიღი: 23 06 2015 წ.
ხელმოწერა

4.6 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულების 4.3 პუნქტის მოთხოვნებს მაშინ 4.4 პუნქტით განსაზღვრული დარჩენილი 2,5 % არ ანაზღაურდება.

4.7 თუკი ხელშეკრულების საგარანტიო პერიოდის ვადის გასვლამდე გამოვლენილი ხარვეზების შედეგად შემსყიდველს მიადგა ზარალი დარჩენილ 2,5 %-ზე მეტი ოდნობით, მიმწოდბელი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს შესაბამისი ნარჩენი ღირებულება ან აღმოფხვრას წუნი საკუთარი ხარჯებით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლზე ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები, ხოლო ტექნიკურ ზედამხედველობას ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია.

5.3 შესრულებული სამუშაოების კალენდარულ გეგმა-გრაფიკთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი პერიოდულად ახორციელებს ინსპექტირებას, რაზედაც წინასწარ ატყობინებს მიმწოდებელს. ინსპექტირების შედეგები აისახება შესაბამის ოქმში;

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. მიმწოდებელი ვალდებულია ისარგებლოს მარტო იმ ასფალტობეტონის ქარხნით, რომლის მიერ გამოშვებულ პროდუქციას ექნება ლაბორატორიული დასკვნა, ამ ქარხნის პროდუქციის გამოყენების ვარგისიანობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები არ იქნება მიღებული.

მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

5.5 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღება–ჩაბარება ხორციელდება ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის" მიერ დადასტურებული ფორმა N2-ის საფუძველზე. ამასთან, სამუშაოების (ან მისი ნაწილის) შესრულების თარიღად ჩაითვლება „შესრულებული სამუშაოების აქტში" მითითებული თარიღი, დადასტურებული ტექნიკური ზედამხედველის მიერ.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე წარმოადგინოს ს.ს.ი.პ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს დასკვნა შესრულებული სამუშაოების ღირებულების (ერთეული ფასების) ფაქტიურ დანახარჯებთან შესაბამისობის შესახებ (ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას ანაზღაურებს შემსყიდველი, სახელმეკრულებო ხარჯთაღრიცხვაში ამ მიზნით გათვალისწინებული ხარჯების ფარგლებში) (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად).

6.3 იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველი ან/და მისი უფლებამოსილი პირი აცნობებს მიმწოდებელს შემოწმების შედეგებს დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით. შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ განუსაზღვროს მიმწოდებელს გონივრული ვადა დაწუნებული სამუშაოს გამოსწორების მიზნით. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ხელშეკრულების 8.6 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, შემსყიდველის მიერ განსაზღვრული გონივრული ვადის ბოლო თარიღიდან დეფექტების საბოლოო აღმოფხვრამდე.

6.4 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს (დაზუსტდეს), ფაქტიურად შესასრულებული სამუშაოების გათვალისწინებით, ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)თან მიღწეული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი აქტი და ამ აქტის საფუძველზე უნდა გაფორმდეს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება.

6.5 სამუშაოს მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.6 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6.7 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2015 წ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით ეტაპობრივად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

7.3 ხელშეკრულების 8.2, 8.3, 8.4, 8.5 და 8.6 პუნქტების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს (ჯარიმის) ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე დაკისრებული პირგასამტეხლოს (ჯარიმის) გადახდის შემდეგ.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება შესაძლებელია საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ ეროვნულ ვალუტაში-ლარში) წარმოდგენის შემთხვევაში (რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას) ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 80%-ის ოდენობით. მიმწოდებელმა ავანსის თანხები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ შესყიდვებთან დაკავშირებულ ვალდებულებების შესასრულებლად.

7.5 წინასწარი გადახდის თანხების (ავანსი) დაკავება განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 4 სექტემბრის №508 ბრძანების შესაბამისად - „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებებიდან ფაქტობრივი ხარჯების გაწევამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარ გადახდილი სახსრების დამოწმების შესახებ".

7.6 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლის მე-2[1] პუნქტის საფუძველზე მიმწოდებელი უფლებამოსილია წარმოადგინოს ავანსად გასაცემი თანხის განახევრებულ ოდენობაზე საბანკო გარანტია.

7.7 *უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან (გარდა იმ სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთაც სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებით განსაზღვრულ გარანტიებთან დაკავშირებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან მიმდინარე პერიოდისათვის უფიქსირდებათ ვადაგადაცილებული ვალდებულებები და სასამართლო დავები), ეროვნულ ვალუტაში - ლარში. ასევე,წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტიის წარმოდგენა დასაშვებია „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის" (OECD) წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოების მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, როგორც ეროვნულ ვალუტაში (ლარი), ისე უცხოურ ვალუტაში - ა.შ.შ დოლარში ან/და ევროში. OECD-ს წევრი ქვეყნების საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის დოკუმენტის ვალიდურობა დადასტურებული უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ან/და წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ავიზირება. იმ შემთხვევაში თუკი, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი იქნება უცხოურ ვალუტაში და სავალუტო კურსის ცვლილება (ლარის გამყარება) გამოიწვევს ხელშეკრულებით პირობების მიხედვით გაცემული და დაუდასტურებელი (გამოუქვითავი) საავანსო თანხის შემცირებას, მიმწოდებელი ვალდებული იქნება გაზარდოს წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის ღირებულება და წარუდგინოს იგი შემსყიდველს ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანს 10 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში შესაბამისი ღირებულების საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. საბანკო გარანტიები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).*

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში (გარდა მიწოდების ვადის დარღვევისა) მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოების დაწყების 5 (ხუთი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.4 კალენდარული გეგმა-გრაფიკის ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში შემსყიდველთან წარმოუდგენლობის ან/და შეუთნხმებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ერთჯერადად ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.5 ინსპექტირებისას სამუშოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის (გარდა საბოლოო მიწოდების ვადის გადაცილებისა) ჩამორჩენის დაფიქსირების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.6 ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს დასრულების ვადის და წერილობით განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის გონივრული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვადაგადაცილებით წარმოდგენილი და მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმებული დადასტურებული სამუშაოების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.7 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად შემსყიდველის სასარგებლოდ;

8.8 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

8.9 ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,1 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.10 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ბ) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში;
გ)მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოების დაწყების 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
დ) კალენდარული გეგმა-გრაფიკის წარმოუდგენლობის ან/და შემსყიდველთან შეუთანხმებლობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
ე) მიმწოდებლის მიერ სამუშაოს საბოლოო შესრულების ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
ვ) მიმწოდებლის მიერ ხარვეზების გამოსწორებაზე უარის თქმის ან არ გამოსწორების შემთხვევაში;
ზ) ინსპექტირებისას სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის არაჯეროვნად შესრულების ან მიმწოდებლის მიზეზით 5 (ხუთ) კალენდარული დღით სამუშაოთა დაყოვნების ან/და შეჩერების დაფიქსირების შემთხვევაში.
თ) მიმწოდებლის მიერ სავალუტო კურსის ცვლილებისას (ლარის გამყარება) უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების გარანტიის და წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის გაზრდილი ღირებულებით წარმოუდგენლობის შემთხვევაში;
ი)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.6 ამ მუხლის 9.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

10.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – საბანკო გარანტია, რომელიც უნდა წარმოადგინოს მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლის მე-2[1] პუნქტის საფუძველზე მიმწოდებელი უფლებამოსილია წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია განახევრებული ოდენობით), რომლის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ქ. თბილისში, თბილისის ზღვის შემოვლითი გზის (ღერძის ხაზი 300 და 400 მონაკვეთები) სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების ვადას (წარმოსადგენი საბანკო გარანტიის ნიმუში დანართის სახით თან ახლავს ხელშეკრულებას) .
10.2 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
10.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

შენიშვნა: უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში. ასევე, ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენა დასაშვებია „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის" (OECD) წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოების მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან (გარდა იმ სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთაც სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებით განსაზღვრულ გარანტიებთან დაკავშირებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან მიმდინარე პერიოდისათვის უფიქსირდებათ ვადაგადაცილებული ვალდებულებები და სასამართლო დავები), როგორც ეროვნულ ვალუტაში (ლარი), ისე უცხოურ ვალუტაში - ა.შ.შ დოლარში ან/და ევროში. OECD-ს წევრი ქვეყნების საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის დოკუმენტის ვალიდურობა დადასტურებული უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ან/და წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ავიზირება. იმ შემთხვევაში თუკი, ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია წარმოდგენილი იქნება უცხოურ ვალუტაში და სავალუტო კურსის ცვლილება (ლარის გამყარება) გამოიწვევს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების შესაბამის პროცენტულ ოდენობასთან მიმართებით საბანკო გარანტიის ღირებულების ეროვნულ ვალუტაში (ლარში) შემცირებას, მიმწოდებელი ვალდებული იქნება გაზარდოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ღირებულება და წარუდგინოს იგი შემსყიდველს ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანს 10 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში შესაბამისი ღირებულების საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. საბანკო გარანტიები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

11. ფორს-მაჟორი

11.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

11.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

12.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

12.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.

12.3 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

12.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით, აგრეთვე პროექტით გათვალისწინებული უსაფრთხოების წესების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.

12.5 ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.უფლებების გადაცემა

14.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებეულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

15.ღირებულება

15.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

15.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

15.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

15.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

16. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

16.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

16.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტ. პირი ბ-ნი ამირან მამუჭაძე, ტელეფონის ნომერი: +995322207475; ელექტრონული ფოსტა: info@bsg.com.ge;

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტ. პირი ბ-ნი ჰამლეტ ჟიჟიაშვილი; ტელეფონის ნომერი 599548582; ელექტრონული ფოსტა: ketilmotskoba@tbilisi.gov.ge;

16.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

16.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს

17.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს

17.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

17.5ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. სხვა პირობები

18.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

18.2.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“
---	---
გიორგი სოლომონია მერის მოადგილე	ამირან მამუჭაძე დირექტორი
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7 სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 საიდ. კოდი: 204521794 ა/ა **GE24NB0330100200165022**	შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“ ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, №71, სართული 3, ბლოკი VIII, ოფისი№16 სს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 საიდ. კოდი: 204477734 ა/ა:**GE61TB1100000107467338**

თბილისის ზღვის შემოვლითი გზის (ღერძის ხაზი 300 და ღერძის ხაზი 400 მონაკვეთების) რეაბილიტაციის სამუშაოების საორიენტაციო ხარჯთაღიცხვა

სამუშაო Bill	აღწერა	ჯამი (ლარი)
100	მოსამზადებელი სამუშაოები	181 297,37
200	დრენაჟი	138 503,03
300	საგზაო სამოსი	1 427 101,00
400	მიერთებების მოწყობა	20 681,63
500	კერძო მისასვლელების მოწყობა	2 858,80
600	საგზაო კუთვნილება	15 435,00
	ფასი სულ დ.ღ.გ-ს გარეშე	**1 785 876,82**
	ზედნადები ხარჯი 10%	178 587,68
	ჯამი	1 964 464,50
	გეგმიური დაგროვება 8%	157 157,16
	ჯამი	2 121 621,66
	გაუთვალისწინებელი ხარჯი 3%	63 648,65
	ჯამი	2 185 270,31
	დ.ღ.გ 18%	393 348,66
	სულ	**2 578 618,97**
	ექსპერტის მომსახურება (არაუმეტეს ღირებულების 1,5%)	38 679,28
	სულ ჯამი	**2 617 298,25**

პოზიცია	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ფასი სულ (ლარი)
1	2	3	4	5	6
100,00	<u>მოსამზადებელი სამუშაოები</u>				
101,00	გზის დაკვალვა	მ	5412,00	1,00	5412,00
102,00	ობიექტის საერთო გაწმენდა (მათ შორის: ხე-ბუჩქნარისაგან ტანის დიამეტრით D< 80 მმ);	ჰა	1,6236	2000,00	3247,20
103,00	ხის მოჭრა, დიამეტრი დაახლოებით 8სმ < d ≤ 16სმ;	ცალი	7,00	41,6667	291,67
104,00	<u>მიწის სამუშაოები</u>				
104,10	8^{Γ} III გრუნტის გამუშავება ჭრილში (მათ შორის კიუვეტში) მექანიზებული წესით და გატანა ნაყარში	$მ^3$	3830,00	7,50	28725,00
104,20	6^{A} I გრუნტის გამუშავება ჭრილში მექანიზებული წესით, და გადაადგილება ყრილში	$მ^3$	200,00	5,00	1000,00
104,30	6^{A} I გრუნტის გამუშაკება ჭრილში მექანიზებული წესით და გატანა ნაყარში	$მ^3$	5130,00	7,00	35910,00
104,40	ვარცლის ამოჭრა 8^{Γ} III გრუნტში მექანიზებული წესით და მოჭრილი გრუნტის ვატანა ნაყარში	$მ^3$	1370,00	7,00	9590,00
105,00	<u>მიწის სამუშაოები მილებისათვის</u>				
105,10	მილის გარშემო არხებული გრუნტის დამუშავება ექსკავატორით, დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და ზიდვა ნაყარში	$მ^3$	825,00	7,50	6187,50
105,20	მილის გარშემო არსებული გრუნტის დამუშავება ექსკავატორით, იქვე დასაწყობება შერმდგომი უკუჩაყრისათვის	$მ^3$	1008,00	3,00	3024,00
105,30	იგივე - ხელით: მილის გარშემო არხებული გრუნტის დამუშავება, იქვე დასაწყობება შერმდგომი უკუჩაყრისათვის	$მ^3$	64,00	15,00	960,00
105,40	რ/ბ მილის ნაგებობების - სათაესებიხ, ფრთების, კბილების და სექციების, ჭების დემონტაჟი და დანგრევა, დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და ტრანსპორტირება ნაყარში	$მ^3$	61,00	25,00	1525,00
	<u>საკომუნიკაციო ხაზები</u>				
106,00	ელ-გადამცემი ბოძების დემონტაჟი და მონტაჟი გზიდან მარჯვენივ და მარცხნივ შესაბამისი უწყისის მიხედვით				
106,10	გადასატანი 100 არსებული რკინის ბოძისათვის ორმოების ამოჭრა, დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და ზიდვა ნაყარში	$მ^3$	245,00	15,00	3675,00
106,20	100 არსებული რკინის ბოძის ჩამონტაჟება-დაბეტონება ორმოებში. C 20/25 კლასის ბეტონის მომზადებითა და ადგილზე ჩასხმით	$მ^3$	245,00	150,00	36750,00
106,30	გადატანილ რკინის ბოძებზე თითოეულზე ორ-ორი ელ-კრონშტეინების დამაგრებით და არსებული ელ-გადამცემი მავთულების კრონშტეინებზე მონტაჟით)	ცალი	100,00	300,00	30000,00

პოზიცია	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ფასი სულ (ლარი)
107,00	ღერძის ხაზზე 400, გზის ქვეშ საკომუნიკაციო ხაზების გასატარებლად გარსაცმის მოწყობა 700 მმ დიამეტრის ლითონის მილით, ყველა თანმდევი სამუშაოების ჩათვლით, 3 ადგილზე	მ	50,00	300,00	15000,00
	ჯამი სამუშაო 100, გადაიტანება მთლიან ჯამში				181297,37
200,00	დრენაჟი				
201,00	მილებისათვის საფუძვლის მოწყობა ღორღისა და ქვიშა-ხრეშის მასალით ქვიშა-ხრეშოვანი საფუძვლის მოწყობა ახალი მილების ტანის ქვეშ და დატკეპნა				
201,10	ქვიშა-ხრეშოვანი საფუძვლის დაგება მილების ტანის ქვეშ და დატკეპნა	$მ^3$	127,23	16,00	2035,68
202,00	რკინაბეტონის წინასწარდამზადებული ასაწყობი წრიული მილის სექციების მოტანა დამონტაჟება ყალიბის მონტაჟისა და ყველა სხვა დამხმარე სამუშაოს ჩათვლით				
202,10	რკინა-ბეტონის (ბეტონის კლასი C 30/37) D=1500 მმ შიგა დიამეტრის მილების სექციების მზა ელემენტების ტრანსპორტირება და მონტაჟი ყველა დამხმარე სამუშაოების ჩათვლით	$მ^3$	37,80	610,00	23058,00
203,00	რკინაბეტონის მონოლითური მილის ტანის, ხათავისების, ფრთებისა, "კბილების", მიმღები ჭების მოწყობა - ადგილზე ჩასხმა ქარგილის მონტაჟისა და ყველა სხვა დამხმარე სამუშაოს ჩათვლით				
203,10	A-III კლასის არმატურით კარკასის მოწყობა ქარგილებში	ტ	8,3174	1500,00	12476,10
203,20	C 20/25 კლასის ბეტონის მომზადება ადგილზე და ყალიბებში ჩასხმა	$მ^3$	39,90	200,00	7980,00
203,30	C 12/15 კლასის ბეტონის ფილის მომზადება ადგილზე და ყალიბებში ჩასხმა	$მ^3$	82,28	180,00	14810,40
203,40	C 08/10 კლასის მჭლე ბეტონის მომზადება ადგილზე და ყალიბებში ჩასხმა	$მ^3$	18,87	130,00	2453,10
204,00	ჭებისათვის ცხაურების მოტანა და მონტაჟი				
204,10	ცხაურა ზომით: 1.8 მ X 1.8 მ (სამი ცალი, სულ 9.7 $მ^2$)	ტ	0,47025	3500,00	1645,88
205,00	ახალი და ძველი მილების, სათავისების და წყალშემკრები ჭების გარშემო ორი ფენა ჰიდროიზოლაციის მოწყობა ბიტუმოვანი საცხით	$მ^2$	501,84	5,00	2509,20
206,00	რკინაბეტონის მილის სექციების შეერთების მოწყობა წყალგაუმტარი ნაკერით ყველა დამხმარე სამუშაოს ჩათვლით				
206,10	ბოჭკოვანი მასალა რ/ბ მილების რგოლებს შორის შესაბამისი ნახაზის მიხედვით	მ	362,20	1,50	543,30
206,20	ცემენტის ხსნარი	მ	660,20	1,50	990,30
207,00	ქვიშა-ხრეშოვანი გრუნტის უკუჩაყრა მილის გარშემო და ფენებად დატკეპნა	$მ^3$	1072,00	16,00	17152,00

პოზიცია	დასახელება	განზომილებ ა ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ფასი სულ (ლარი)
208,00	"ნიუ ჯერსის" ტიპის ზღუდარების მონტაჟი ამწით ყველა დამხმარე საუშაოს ჩათვლით	$მ^3$	7,84	350,00	2744,00
209,00	მოკირწყვლა (D_{50}=200mm; D_{max}=400 mm)	$მ^3$	132,00	45,00	5940,00
210,00	ლესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარზე	$მ^2$	60,00	15,00	900,00
211,00	ხეების ჭრა მილების სათავისებთან				
211,10	ხის ტანის დიამეტრი დაახლოებით 8სმ < d ≤ 16სმ:	ცალი	10,00	41,6667	416,67
211,20	ხის ტანის დიამეტრი დაახლოებით 16სმ < d ≤ 24სმ:	ცალი	3,00	50,00	150,00
211,30	არსებული მილის და მიმდებარე ტერიტორიების გაწმენდა თიხა-თიხნარის და ქვა–ღორღის ჩამონატანებისაგან	$მ^3$	5,00	8,00	40,00
212,00	სამშენებლო ნაგვის გატანა	$მ^3$	51,00	5,00	255,00
213,00	სადრენაჟე რკინა-ბეტონის დია არხების (გარე ზომებით 0.5mX0.6m) მოწყობა გზის ტიპური განიეი ჭრილების მიხედვით ღერძის ხაზ #300-ზე სიგრძით 520 გრძ. ეტრი				
213,10	გრუნტის ჭრა რკინა-ბეტონის სადრენაჟე არხებისათვის და იქვე გაშლა	$მ^3$	286,00	3,00	858,00
213,20	ქვიშა-ხრეშის საგების მოწყობა რკინა-ბეტონის არხების ქვეშ	$მ^3$	33,80	16,00	540,80
213,30	რკინა-ბეტონის არხების ადგილზე ჩასხმა საერთო სიგრძით 670 გრძივი მეტრი	$მ^3$	74,10	550,00	40755,00
213,40	გრუნტის უკუჩაყრა სადრენაჟე არხებზე	$მ^3$	124,80	2,00	249,60
	ჯამი სამუშაო 200, გადაიტანება მთლიან ჯამში				138503,03
300,00	<u>საგზაო სამოსი</u>				
301,00	არსებული ასფალტ-ბეტონის საფარის მოფრეზვა საშუალო სისქით 13 სმ	$მ^2$	0,00	2,85	0,00
302,00	ფრეზირებული მასალის დასაწყობება ბაზაში	$მ^3$	5275,00	7,00	36925,00
303,00	ვარცლის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი ოპტიმალური ნარევით	$მ^3$	1370,00	16,00	21920,00
304,00	შემასწორებელი ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ოპტიმალური ნარევით	$მ^3$	850,00	16,00	13600,00
305,00	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა მტკიცე დანალექი მასალის ფრაქციებული ღორღით (0-40 მმ), ჩასოლვის მეთოდით h=180 მმ;	$მ^3$	7360,00	24,00	176640,00
306,00	ბიტუმის მოსხმა	ტ	28,00	1200,00	33600,00

პოზიცია	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ფასი სულ (ლარი)
307,00	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ღორღოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევით, მარკა II, სისქით 6 სმ	$მ^2$	40000,00	15,63	625200,00
308,00	ბიტუმის მოსხმა	ტ	11,90	1200,00	14280,00
309,00	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ა/ბ ცხელი ნარევით, ტიპი "ნ", მარკა II, სისქით 4 სმ	$მ^2$	39600,00	11,66	461736,00
310,00	მისაყრელი გვერდულების მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	$მ^3$	2160,00	20,00	43200,00
	ჯამი სამუშაო 300, გადაიტანება მთლიან ჯამში				1427101,00
400,00	მიერთებების მოწყობა				
401,00	ქვაბულის დამუშავება ექსკავატორით და იქვე გაშლა	$მ^3$	30,25	3,00	90,75
402,00	ქვაბულის დამუშავება ხელით და იქვე გაშლა	$მ^3$	3,0250	15,00	45,38
403,00	მიერთებებთან ფოლადის D=500 მმ დიამეტრის სადრენაჟე მილების მოტანა-მონტაჟი				
403,10	ქვიშა-ხრეშის საგების მოწყობა ფოლადის მილების ქვეშ	$მ^3$	0,56	16,00	8,96
403,20	ფოლადის D=500 მმ მილების მოტანა-მონტაჟი	მ	8,00	200,00	1600,00
403,30	ორი ფენა ჰიდროიზოლაციის ფენით დაფარვა	$მ^2$	12,56	5,00	62,80
403,40	მილებისათვის ყორე-ქვის ბეტონის სათავისების მოწყობა	$მ^3$	6,51	45,00	292,95
403,50	ქვიშა-ხრეშოვანი გრუნტის უკუსაყრა მილის გარშემო და დატკეპნა	$მ^3$	4,00	16,00	64,00
403,60	მიერთებებზე რ/ბ არხებისათვის ცხაურების მოტანა-მონტაჟი სულ: 15.0მ X 0.475მ X 0.65მ	ტ	2,2420	3500,00	7847,00
404,00	მიერთებებზე საგზაო საფარის მოწყობა ღერძის ხაზებზე: №300-ზე და №400-ზე				
404,10	მიერთებებზე დასაგებ ფართზე არსებულ საფუძველზე შემასწორებელი ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშის ნარევით	$მ^3$	24,65	16,00	394,40
404,20	ღორღოვანი მასალის ფრაქციით 0-40 მმ შემოტანა, დაგება და დატკეპნა (საშუალო სისქით 160 მმ);	$მ^2$	492,836	4,84	2385,33
404,30	საფუძველზე ბიტუმის მოსხმა	ტ	0,3451	1200,00	414,12
404,40	საგზაო საფარის მოწყობა: ზედა საცვეთი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრიეი ღორღოვანი ა/ბ ცხელი ნარევით, ტიპი "ნ", მარკა II, h=50 მმ	$მ^2$	493,00	14,58	7187,94
405,00	ქვიშა-ხრეშოვანი გვერდულების მოწყობა მიერთებებთან	$მ^3$	14,40	20,00	288,00

პოზიცია	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ფასი სულ (ლარი)
	ჯამი სამუშაო 400, გადაიტანება მთლიან ჯამში				20681,63
500,00	კერძო მისასვლელების მოწყობა				
501,00	ქვაბულის დამუშავება ექსკავატორით და იქვე გაშლა	$მ^3$	12,00	3,00	36,00
502,00	ქვაბულის დამუშავება ხელით და იქვე გაშლა	$მ^3$	1,20	15,00	18,00
503,00	კერძო მისასელელებთან საფარის მოწყობა				
503,10	კერძო მისასვლელებზე დასაგებ ფართზე არსებულ საფუძველზე შემასწორებელი ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშის ნარევით (საშუალო სისქით h=100 მმ)	$მ^3$	12,00	16,00	192,00
503,20	კერძო მისასვლელებზე ღორღის ფრაქციით 0-40 მოტანა, და დატკეპნა, საშუალო სისქით h=100 მმ;	$მ^2$	120,00	3,02	362,40
503,30	ბიტუმის შესხმა	ტ	0,0840	1200,00	100,80
503,40	საგზაო საფარის მოწყობა: ზვდა საცვეთი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ა/ბ ცხელი ნარევით, ტიპი "ნ", მარკა II, h=50 მმ	$მ^2$	120,00	14,58	1749,60
503,50	ქვიშა-ხრეშის საფარის მისადაგება, სისქით h=20 სმ	$მ^3$	20,00	20,00	400,00
	ჯამი სამუშაო 500, გადაიტანება მთლიან ჯამში				2 858,80
600,00	თვალამრიდების მოწყობა				
600,10	გზის კიდეზე არსებული ლითონის ზღუდარების დემონტაჟი და ხელახალი მონტაჟი: რერძის ხაზი №300-ზე: (0+260-დან - 0+300-მდე მარცხნივ გადატანა 1.0 მეტრამდე სიგანით; 0+370-დან - კმ 0+480-მდე დემონტაჟი და მონტაჟი; 0+690-დან - 0+729 მარცხნივ 0.6 მეტრით; 0+883-დან 0+930-მდე მარცხნივ 0.7 მეტრით; 0+965-დან - 1+060-მდე მარჯვნივ 1.5 მეტრით; 1+105-დან - 1+165-მდე მარჯვნივ 1.1 მეტრით; ღერძის ხაზი №400-ზე: 0+500- კმ 0+550-მდე მარჯვნივ 1.4 მეტრით;	მ	441,00	35,00	15435,00
	ჯამი სამუშაო 600, გადაიტანება მთლიან ჯამში				15435,00

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ჯიორჯი სოლოდონია
მერის მოადგილე

შპს "კომპანია ბლექ სი გრუპი"

ამირან მამუჭაძე
დირექტორი

დანართი

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(საბანკო გარანტია)

ვის:_____

(შემსყიდველის დასახელება)
მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

_____

(მიმწოდებლის დასახელება)
შემდგომში „მიმწოდებელმა“_____ ტენდერში წარდგენილი
თავისი

(ტენდერის დასახელება)
სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია. ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით (ლარი))
და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.
წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____

_____

_____

(თარიღი)

_____

(მისამართი)